

# საქართველოს კანონი

## ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ

(სათაური 9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

### თავი I

#### ზოგადი დებულებანი

მუხლი 1 (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ეს კანონი ადგენს საქართველოში ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 2 (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ამ კანონის მიზანია საქართველოში ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების სფეროს სახელმწიფო რეგულირება, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აზარტული თამაშობები – თამაშობები, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე. ისინი ტარდება ბანქოს, კამათლის (გარდა ნარდისა), სათამაშო ბორბლის (რულეტის), სათამაშო აპარატის, სამორინეს მაგიდის, კლუბის მაგიდის ან/და სხვა სათამაშო ინვენტარის მეშვეობით და მათში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა. აზარტული თამაშობების (გარდა აზარტული ტურნირისა) ორგანიზება დასაშვებია მხოლოდ სამორინეში, სათამაშო აპარატების სალონში ან/და აზარტულ კლუბში; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

ა<sup>1</sup>) აზარტული ტურნირი – თამაშობა, რომელსაც ატარებს სამორინეს ან/და აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდის მეშვეობით. თუ სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდას მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის იყენებს და არ იხდის „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით კლუბის მაგიდისათვის დაწესებულ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს, მას უფლება არ აქვს, აზარტული ტურნირის ჩატარებიდან მიიღოს შემოსავალი. აზარტული ტურნირის ორგანიზება დასაშვებია როგორც სამორინეს ან/და აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვით ორგანიზებულ ობიექტზე, ისე მის გარეთ; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

ბ) მოთამაშე – პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით;

გ) სამორინე – სპეციალური სათამაშო დაწესებულება, რომელშიც ორგანიზატორი სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, სამორინეს მაგიდის, კლუბის მაგიდის, კამათლის ან/და სხვა სათამაშო ინვენტარის (გარდა სათამაშო აპარატისა) საშუალებით ახორციელებს აზარტულ თამაშობებს და ფულადი მოგების გათამაშებას; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

დ) სამორინეს მაგიდა – სპეციალურად მოწყობილი მაგიდა, რომელზედაც სამორინეს წარმომადგენელსა და მოთამაშეს (მოთამაშეებს) შორის მიმდინარეობს თამაშობა სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, კამათლის ან/და სხვა სათამაშო ინვენტარის მეშვეობით. ამ კანონის მიზნებისათვის, სამორინეს მაგიდად მიიჩნევა აგრეთვე ჰიბრიდული ელექტრომექანიკური სათამაშო ბორბალი (რულეტი), რომელიც ამოქმედდება მექანიკურად; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

დ<sup>1</sup>) კლუბის მაგიდა – სპეციალურად მოწყობილი მაგიდა, რომელზედაც მოთამაშეებს შორის თამაშობა მიმდინარეობს ბანქოს მეშვეობით. თამაშობაში ბანქო შეიძლება დაარიგოს აზარტული თამაშობის ორგანიზატორის (გარდა სათამაშო აპარატების სალონისა) წარმომადგენელმა; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

ე) სათამაშო დარბაზი – მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) და სამორინეში აზარტული თამაშობების ჩასატარებელი სპეციალური ადგილი. სათამაშო დარბაზი არ უნდა ჩანდეს შენობის გარეთა მხრიდან; (15.12.2009. N2332)

ვ) სათამაშო აპარატების სალონი – სპეციალურად მოწყობილი შენობა-ნაგებობა ან შენობა-ნაგებობის ფართობის ნაწილი (მათ შორის, გამოყოფილი ფართობის ნაწილი), სადაც განთავსებულია სათამაშო აპარატები. სათამაშო აპარატების სალონი განთავსებული სათამაშო აპარატი არ უნდა ჩანდეს შენობა-ნაგებობის გარეთა მხრიდან; (4.05.2010 N 3045)

ზ) სათამაშო აპარატი – ელექტრონული, მექანიკური ან ელექტრომექანიკური მოწყობილობა ან სხვა სპეციალიზებული მოწყობილობა, მათ შორის, აზარტული თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებულ ობიექტში განთავსებული კომპიუტერი ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებულ ობიექტში აზარტული თამაშობებისთვის განთავსებული კომპიუტერი, რომელსაც აქვს სპეციალური პროგრამა ან/და მექანიზმი, რომელიც იძლევა ფულად მოგებას ან ფულადი მოგების განსაზღვრის საშუალებას. სათამაშო აპარატი, რომელზედაც მიმდინარეობს ერთი ან/და რამდენიმე თამაშობა, რომელზე თამაშიც ერთდროულად შეუძლია რამდენიმე მოთამაშეს და რომელიც შედგება რამდენიმე სათამაშო ადგილისგან, მიიჩნევა იმდენ სათამაშო აპარატად, რამდენი სათამაშო ადგილისგანაც შედგება (გარდა ელექტრონული სათამაშო ბორბლისა (რულეტისა)); (28.06.2012 N 6574)

ზ<sup>1</sup>) აზარტული კლუბი – სპეციალურად მოწყობილი შენობა-ნაგებობა ან შენობა-ნაგებობის ფართობის ნაწილი (მათ შორის, გამოყოფილი ფართობის ნაწილი), სადაც განთავსებულია კლუბის მაგიდა (მაგიდები), რომელიც არ უნდა ჩანდეს შენობა-ნაგებობის გარეთა მხრიდან; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

თ) ლატარია – ნებაყოფლობითი ჯგუფური ან მასობრივი თამაშობა, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული, დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა ლატარიის რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ლატარიის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება-

სურვილსა და მოქმედებაზე, წარმოადგენს შემთხვევითობას და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი. ლატარიის სახეები:

თ.ა) ტირაჟიანი ლატარია – ლატარია, რომლის ჩატარების პროცესი დაყოფილია ტირაჟებად, ცალკეულ სრულ ციკლებად, ბილეთის დამზადებიდან და რეალიზაციიდან – საპრიზო ფონდის გათამაშების ჩათვლით. ლატარიის ბილეთის მფლობელი ბილეთის მომგებიანობას ადგენს მხოლოდ გათამაშების ჩატარების შემდეგ;

თ.ბ) მომენტალური ლატარია – ლატარია, რომლის გათამაშების შედეგი ირკვევა ადგილზე ბილეთის შემოწმების ან უშუალოდ ბილეთზე გათამაშების ჩატარების გზით;

თ.გ) ლოტო – თამაშობა, რომელიც ტარდება ბილეთების მეშვეობით და რომელშიც მოგება დამოკიდებულია რიცხვითი ან სიმბოლოების კომბინაციების მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევაზე და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან;

თ.დ) ბინგო – თამაშობა, რომელიც ტარდება ბილეთების მეშვეობით და რომელშიც რიცხვითი ბარათების ან ელექტროტაბლოს მეშვეობით მოგება ფიქსირდება სპეციალური მოწყობილობიდან ამოსული რიცხვითი კომბინაციების დამთხვევით და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან; (15.12.2009. N2332)

თ.ე) ტოტო – ტირაჟიანი ლატარიის ნაირსახეობა, რომელიც ტარდება ბილეთების მეშვეობით და რომელშიც მოგება დამოკიდებულია ლატარიის ორგანიზატორის მიერ წინასწარ შერჩეული სპორტული თამაშობების შედეგების მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევაზე და განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან; (28.10.2011. N5169)

ი) ლატარიის ან/და მომგებიანი თამაშობის ბილეთი – სარეალიზაციოდ ან გასავრცელებლად გამზადებული ბარათი, თამაშობაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ნივთი, პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდი (ნომერი) ან/და ინფორმაციის სხვა მატარებელი, რომელიც უპასუხებს კანონისა და კონკრეტული ლატარიის ან მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობებს (რეგლამენტს) და მოგების შემთხვევაში ადასტურებს მოგების ფაქტს; (15.12.2009. N2332)

კ) საპრიზო ფონდი – თანხა, რომელიც შემოსვლამდე აღიარებულია მყარ ვალდებულებად მესამე პირის (მოგებახვედრილი ბილეთის მფლობელის), მარწმუნებლის ან პრინციპალის სასარგებლოდ და განკუთვნილია მისთვის გადასაცემად, მოწყობის პირობებით (რეგლამენტით) გათვალისწინებული მოგების ოდენობით. კონკრეტული თამაშობის მოწყობის პირობების (რეგლამენტის) შესაბამისად მოგება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფულადი, ნივთის სახით ან სხვა ფორმით და იგი გაიცემა თამაშობაში მოგებულ ბილეთზე. აკრძალულია საპრიზო ფონდის დატვირთვა რაიმე სხვა ვალდებულებებით, გარდა გათამაშების მონაწილეებთან ნაკისრი ვალდებულებისა. საპრიზო ფონდი არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფინანსურ, კომერციულ, საწარმოო ან სხვა ბრუნვაში. ამ პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვები არ ვრცელდება საბანკო დაწესებულებაში საპრიზო ფონდის განთავსებით მიღებულ სარგებელზე; (28.10.2011. N5169)

ლ) საპრიზო ფონდის გათამაშება – პროცედურა, რომლის დროსაც დასტურდება მოგების დამთხვევის ფაქტი ლატარიის ან/და მომგებიანი თამაშობის ბილეთზე; ნივთმოგების მფლობელს უფლება აქვს, მიიღოს ნივთი ან მისი შესაბამისი თანხა, თუ ეს დადგენილია მოწყობის პირობებით (რეგლამენტით);(15.12.2009. N2332)

მ) საპრიზო ფონდის უზრუნველყოფა – ფინანსური მექანიზმი, რომლითაც მოგების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ტოტალიზატორის მოთამაშეთა ინტერესები და რომლის არსებობაც დასტურდება საბანკო გარანტიით ან ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისით; (15.12.2009. N2332)

ნ) ლატარიის მოცულობა – კონკრეტული გათამაშებისათვის განკუთვნილი ბილეთების რაოდენობის ნამრავლი ბილეთების საცალო ღირებულებაზე; (15.12.2009. N2332)

ო) მომგებიანი თამაშობებია:

ო.ა) ლოტო – ჯგუფური თამაშობა, რომლის მონაწილეს ირჩევს რიცხვით ან სიმბოლოების კომბინაციებს და რომელშიც მოგება დამოკიდებულია რიცხვითი ან სიმბოლოების კომბინაციების მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევაზე და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ლოტო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მის მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით;

ო.ბ) ბინგო – ჯგუფური თამაშობა, რომელშიც რიცხვითი ბარათების ან ელექტროტაბლოს მეშვეობით ფიქსირდება მოგება სპეციალური მოწყობილობიდან ამოსული რიცხვითი კომბინაციების დამთხვევით და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ბინგო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მის მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით;

ო.გ) ტოტალიზატორი – თამაშობა, რომელიც იმართება მოთამაშეების მიერ შეჯიბრების მიმდინარეობის, თამაშობის, რაიმე მოვლენის (მოვლენების) შედეგის პროგნოზზე ფსონების დადებით, ხოლო მოგება დამოკიდებულია ფსონის მოცულობაზე და შედეგზე. აკრძალულია ტოტალიზატორის მოწყობა ისეთ შემთხვევებში, როცა შედეგი შესაძლოა წინასწარ იყოს ცნობილი ერთ-ერთი ან ორივე მხარისთვის. ტოტალიზატორი იმართება სპეციალურად მოწყობილ შენობა-ნაგებობაში ან შენობა-ნაგებობის ნაწილში;

ო.დ) წამახალისებელი გათამაშება – თამაშობა, რომლის დროსაც ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული, დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება-სურვილსა და ქმედებაზე, შემთხვევითობაა და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი. წამახალისებელი გათამაშება ტარდება კონკრეტული სახის პროდუქციის (მომსახურების) სწრაფად და ეფექტიანად რეალიზების მიზნით, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ შემთხვევაში. წამახალისებელი გათამაშების ბილეთი გაიცემა უფასოდ. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა გაიცემა კონკრეტული სახის პროდუქციის (მომსახურების) მწარმოებელზე ან მის წარმომადგენელზე, გარდა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შემთხვევისა. დაუშვებელია წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობისთვის ნებისმიერი ფორმით საფასურის დაწესება; (16.03.2012. N5859)

პ) აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი – აზარტული ან მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელი; (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ჟ) სამორინეს სეიფი – სპეციალურად მოწყობილი ოთახი, სადაც ინახება სამორინეს სარეზერვო თანხა (თითოეულ სამორინეს მაგიდაზე სულ ცოტა 10 000 ლარის ოდენობით),

სამორინეს მთელი შიდა დოკუმენტაცია, სამორინეს სათამაშო ინვენტარი, რომელიც არ არის სტაციონარულად დამონტაჟებული (ბურთულები რულეტისათვის, სათამაშო ჟეტონები, ბანქოს დასტები, კარაბინები ბანქოს დასარიგებლად, სინები ბანქოს დასარიგებლად, კამათლები და ა. შ.); (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

რ) ლატარიის ორგანიზატორი – ამ კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირი – ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მფლობელი პირი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ამავე კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; (15.12.2009. N2332)

ს) წამახალისებელი გათამაშების ეტაპი – პროცესი, რომელიც იწყება ბილეთების დამზადებიდან და რეალიზაციიდან და მთავრდება საპრიზო ფონდის გათამაშებით. (15.12.2009. N2332)

ტ) აგენტი – პირი, რომელიც ლატარიის ორგანიზატორს უწევს სარეალიზაციო მომსახურებას და საცალო რეალიზატორს ან სხვა აგენტს აწვდის ლატარიის ბილეთებს მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. აგენტს უფლება აქვს, თავად შეასრულოს საცალო რეალიზატორის ფუნქცია; (28.10.2011. N5169)

უ) საცალო რეალიზატორი – პირი, რომელიც ლატარიის ორგანიზატორს ან აგენტს უწევს სარეალიზაციო მომსახურებას ლატარიის ბილეთების მოთამაშებზე რეალიზაციის მიზნით; (28.10.2011. N5169)

ფ) სარეალიზაციო მომსახურება – მომსახურება, რომელიც მოიცავს აგენტის (საცალო რეალიზატორის) მიერ ლატარიის ორგანიზატორის ლატარიის ბილეთების რეალიზაციას (მათ შორის, ლატარიის ტერმინალის გამოყენებით), ლატარიის ორგანიზატორის მიერ დადგენილი წესების თანახმად მოთამაშებზე მოგებების გაცემას, მათთვის ლატარიის ორგანიზატორის სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებას და სხვა. (28.10.2011. N5169)

ქ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალარო – სპეციალურად მოწყობილი ადგილი (გარდა კომერციული ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა), სადაც მოლარის საშუალებით ხორციელდება მოთამაშისათვის გახსნილ დეპოზიტზე თანხის შეტანა ან/და მოგების გაცემა. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

#### მუხლი 4

ლატარიას, აზარტულ და მომგებიან თამაშობებს არ მიეკუთვნება თამაშობები, რომლებიც ტარდება მანქანების, აპარატების, მოწყობილობებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით და რომლებშიც გათვალისწინებული არ არის შემთხვევითობის ელემენტი. მათი მიზანია მონაწილეთა განსაკუთრებული ცოდნის, ინტელექტის, სიმარჯვის, მოხერხებულობის ან სხვა განსაკუთრებული უნარის ტესტირება ან დემონსტრირება.

#### მუხლი 5

1. ყველა სახის აზარტული და მომგებიანი თამაშობები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის

თანახმად ნებართვას მოითხოვს. უნებართვოდ თამაშობის გამართვა ან სანებართვო პირობების შეუსრულებლობა კანონის დარღვევად ითვლება და იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. (16.03.2012. N5859)

2. საქართველოში დასაშვებია მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა და მათი ბილეთების გავრცელება. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

3. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის უფლებამოსილება მიანიჭოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს. ამ შემთხვევაში წამახალისებელი გათამაშების ჩატარების წესსა და პირობებს ადგენს და საპრიზო ფონდს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. (16.03.2012. N5859)

4. აკრძალულია საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სათამაშო ბიზნესის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი პირისათვის აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი შემთხვევისა. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

## მუხლი 6

1. საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული პირი. ტენდერში გამარჯვებულად განისაზღვრება ის პირი, რომელიც დააკმაყოფილებს ტენდერის პირობებს და სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად გადაიხდის ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების პროცენტს, რომლის ოდენობასაც ადგენს საქართველოს მთავრობა. (13.10.2011. N5138)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტენდერის ჩატარების წესსა და პირობებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. (24.03.2009. N1126)

3. ამოღებულია (13.10.2011. N5138)

4. ამოღებულია (13.10.2011. N5138)

5. ლატარიის ორგანიზატორს ლატარიის მხარდაჭერის, საზოგადოებრივი ინტერესის ან/და ნდობის მოპოვების მიზნით უფლება აქვს, უფასოდ მიაწოდოს მოთამაშეს ლატარიის ბილეთი. ასეთი მიწოდება არ ჩაითვლება ლატარიის ბილეთის რეალიზაციად და, შესაბამისად, არ გაითვალისწინება ლატარიის ბილეთების ჯამურ ღირებულებაში. ასეთი მიწოდება არ განიხილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ექსკლუზიური უფლების მფლობელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის დარღვევად. (28.10.2011. N5169)

6. ლატარიის ორგანიზატორს ლატარიის მხარდაჭერის მიზნით შეუძლია ლატარიის ბილეთი მიჰყიდოს პირს, რომელიც მას გამოიყენებს საკუთარი საქონლის, მომსახურების მიწოდების ხელშეწყობისათვის, თანამშრომელთა წახალისებისათვის და სხვა. ლატარიის ბილეთის ასეთი გაყიდვა ჩაითვლება მოთამაშისთვის ლატარიის ბილეთის ნომინალური ღირებულებით მიყიდვად და იმავე ღირებულებით შეიტანება ლატარიის ბილეთების ჯამურ ღირებულებაში. (28.10.2011. N5169)

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები არ ჩაითვლება წამახალისებელ გათამაშებად და მათზე არ გავრცელდება წამახალისებელი გათამაშების მოწყობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. (28.10.2011. N5169)

8. ლატარიის ორგანიზატორს აქვს თითოეული გათამაშების საპრიზო ფონდის ნაწილის რეზერვირების უფლება, რომლის ოდენობა მომდევნო გათამაშებებში განცხადებულ საპრიზო ფონდთან ერთად უნდა შეადგენდეს ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების არანაკლებ 45 პროცენტს. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

#### მუხლი 7 (15.12.2009. N2332)

1. აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვების გაცემასა და გაუქმებას, მათში ცვლილებების შეტანასა და უწყებრივ სანებართვო რეესტრში გატარებას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური). (23.02.2010 N 2670 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან)

2. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, გადაამოწმოს ნებართვის მაძიებლის მიერ ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობა.

3. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, კონტროლი დააწესოს სანებართვო პირობების შესრულებაზე. ამ მიზნით შესაძლებელია, ნებისმიერ დროს შემოწმდეს ნებართვის მფლობელის მიერ ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა. შემოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

4. ამ კანონით გათვალისწინებული სანებართვო პირობების დარღვევისათვის ნებართვის მფლობელს აჯარიმებს შემოსავლების სამსახური ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საგადასახადო ორგანო ამ კანონით გათვალისწინებული სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმებისა და ამავე კანონის 37<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესებით. (17.08.2010 N 3601 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

#### მუხლი 8 ამოღებულია (15.12.2009. N2332 )

#### მუხლი 9 (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

1. მომენტალური ლატარიის საპრიზო ფონდის ოდენობა უნდა შეადგენდეს ლატარიის მოცულობის არანაკლებ 45 პროცენტს.

2. ლატარიის (გარდა მომენტალური ლატარიისა) საპრიზო ფონდის ოდენობა უნდა შეადგენდეს ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების არანაკლებ 45 პროცენტს (გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

3. წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდის ოდენობა არ არის შეზღუდული. მას განსაზღვრავს ორგანიზატორი. საპრიზო ფონდის ოდენობა ფიქსირდება წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობებში (რეგლამენტში).

4. ლოტოს, ბინგოს საპრიზო ფონდის ოდენობა უნდა შეადგენდეს მოცემულ გათამაშებაში რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების არანაკლებ 45 პროცენტს.

5. ლატარიის გათამაშების შედეგად ნივთობრივი მოგება უნდა შეხვდეს მხოლოდ ერთ ბილეთს.

მუხლი 10 ამოღებულია (9.12.2005.N2237)

მუხლი 11

1. ნებართვის გაცემას ექვემდებარება:

ა) წამახალისებელი გათამაშების მოწყობა; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

ბ) სამორინეს მოწყობა;

გ) ტოტალიზატორის მოწყობა;

დ) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა;

ე) ლოტოს მოწყობა;

ვ) ბინგოს მოწყობა;

ზ) აზარტული კლუბის მოწყობა.

2. ლატარია და ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი თამაშობები შეიძლება გაიმართოს სისტემურ-ელექტრონული ფორმით – ინტერნეტის, ტელეფონის და სპეციალურად მოწყობილი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მხოლოდ ამ კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით. (4.05.2010 N 3045)

2<sup>1</sup>. აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობა შეუძლია მხოლოდ აზარტული თამაშობის ორგანიზატორს სამორინეს მოწყობის ან/და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვით. აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისათვის ცალკე ნებართვა არ გაიცემა. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

2<sup>2</sup>. ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობა შეუძლია მხოლოდ ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელს ამ ნებართვის ფარგლებში. ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისთვის ცალკე ნებართვა არ გაიცემა. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

2<sup>3</sup>. აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ ქალაქ თბილისში სამორინეს ან/და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირზე. აზარტული კლუბი უნდა მოეწყოს სამორინეს დარბაზისაგან ან/და სათამაშო აპარატების სალონისაგან დამოუკიდებლად, ცალკე ობიექტად. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

2<sup>4</sup>. აკრძალულია აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაში ინტერნეტით მომსახურების გაწევის ობიექტში. ეს



შეზღუდვა არ ვრცელდება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით მოწყობილ ობიექტზე. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

3. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, სათამაშო აპარატების სალონის, სამორინეს, ტოტალიზატორის, ლოტოსა და ბინგოს მოწყობის ნებართვები – 5 წლის ვადით, ხოლო აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა – სამორინეს მოწყობის ან სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის იმ ნებართვის მოქმედების დარჩენილი ვადით, რომლის საფუძველზედაც გაცემულია აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

4. სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, ლოტოსა და ბინგოს მოწყობის ნებართვები გაიცემა თითოეული ობიექტის ფუნქციონირებისათვის. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

5. დაუშვებელია სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, აზარტული კლუბის ან/და ტოტალიზატორის მისამართის შეცვლა უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანის გზით, თუ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით ახალი მისამართისათვის დადგენილია მოსაკრებლის სხვა განაკვეთი. აღნიშნულ შემთხვევაში, სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, აზარტული კლუბის ან/და ტოტალიზატორის მოწყობისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა გაიცეს ახალი ნებართვები. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

6. შესაძლებელია ლოტოსა და ბინგოს ობიექტების ადგილმდებარეობის შეცვლა უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანის გზით. (15.12.2009. N2332)

7. აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვა არ გაიცემა საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

8. აკრძალულია ამ მუხლით გათვალისწინებული ნებართვების სხვა პირისთვის გადაცემა. (15.12.2009. N2332)

თავი I<sup>1</sup> ამოღებულია (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

მუხლი 11<sup>1</sup> ამოღებულია (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

## თავი II

### მომგებიანი თამაშობების მოწყობისა და ნებართვების გაცემის პირობები

მუხლი 12 (15.12.2009. N2332)

1. მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები: (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ა) ხელშეკრულება ნებართვის მაძიებელსა და იმ პირს შორის, რომელიც ამზადებს მომგებიანი თამაშობის (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) ბილეთებს, დასამზადებელი ბილეთების რაოდენობის მითითებით;

ბ) მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობები (რეგლამენტი), რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

ბ.ა) მომგებიანი თამაშობის ჩატარების ვადა და ადგილი;

ბ.ბ) მომგებიანი თამაშობის მოგების გაცემის ადგილი, თარიღი და ზღვრული ვადა. მომგებიანი თამაშობის მოგებების გაცემის საერთო ვადაა გათამაშებიდან 30 კალენდარული დღე. მოგება უნდა გაიცეს მომგებიანი ბილეთის წარდგენიდან არა უგვიანეს 6 დღისა;

ბ.გ) პრეტენზიის განხილვის ვადა;

ბ.დ) მომგებიანი თამაშობის ბილეთების რაოდენობა და ნუმერაცია;

ბ.ე) თამაშობის ზოგადი წესი (წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შემთხვევაში წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი თამაშობის ზოგადი წესი (თამაშობის მიზეზი და მიზანი) უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს);

ბ.ვ) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შემთხვევაში – საპრიზო ფონდის გათამაშების თარიღი და მისამართი;

ბ.ზ) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შემთხვევაში – საპრიზო ფონდი, პრიზების ჩამონათვალი, მათი რაოდენობა, ერთეულის ღირებულება და გათამაშების რიგითობა;

გ) მომგებიანი თამაშობის (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) ბილეთის ნიმუში გაყალბებისგან დამცავი ნიშნების მითითებით. ბილეთის ნიმუში ხელმოწერილი უნდა იყოს ნებართვის მაძიებლის მიერ;

დ) ტოტალიზატორის მოწყობის შემთხვევაში – საპრიზო ფონდის არანაკლებ 10000 ლარის ოდენობით უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ამოღებულია (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

ვ) ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ვ.ა) ფაქტობრივი მისამართი, საიდანაც მოხდება მომგებიანი თამაშობების მართვა და ორგანიზება;

ვ.ბ) თამაშობების ჩამონათვალი და აღწერილობები;

ვ.გ) მოგების გაცემის ადგილი (ადგილები) და ზღვრული ვადა (თუ მოგება გაიცემა ამ კანონის 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე – სალაროს მოწყობისათვის განკუთვნილი უძრავი ქონების მისამართი (მისამართები)); პრეტენზიის განხილვის ვადა; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

ვ.დ) ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში – ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი; დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი; ვებგვერდზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშის დეტალური წესები, ინფორმაცია 18 წლამდე პირთა თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ;

ვ.ე) ტელეფონით მოწყობის შემთხვევაში – საქართველოში რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი.

1<sup>1</sup>. მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით აკრძალულია იმ თამაშობის გამართვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობებით (რეგლამენტით), ხოლო ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესით.(9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

2. მომგებიანი თამაშობის ბილეთის ნიმუშზე თვალსაჩინოდ უნდა იყოს აღნიშნული შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ნებართვის მაძიებლის სახელწოდება/სახელი და გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი;

ბ) ბილეთის ფასი (გარდა ტოტალიზატორისა და წამახალისებელი გათამაშებისა);

გ) ბილეთის ნომერი;

დ) გასაცემი ნებართვის ნომრის ადგილი;

ე) მომგებიანი თამაშობის ჩატარების ვადა და ადგილი;

ვ) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შემთხვევაში – საპრიზო ფონდის გათამაშების თარიღი და დრო;

ზ) თამაშობის ზოგადი წესი;

თ) მომგებიანი თამაშობის მოგების გაცემის ზღვრული ვადა და ადგილი.

3. თუ ტექნოლოგიურად შეუძლებელია მომგებიანი თამაშობის ბილეთზე მოცემული რეკვიზიტების ასახვა, მაშინ მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს მათი საჯაროობა და მოთამაშებისათვის მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობების (რეგლამენტის) დაუბრკოლებლად მიწოდება.

4. წამახალისებელი გათამაშების მოგებათა ოფიციალური ცხრილი უნდა გამოქვეყნდეს გათამაშებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა.

მუხლი 13 (15.12.2009. N2332)

1. ტოტალიზატორის, ლოტოსა და ბინგოს ობიექტების ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორმა შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) გაცემული სანებართვო მოწმობის დედანი; (ამოღებულ იქნეს წესით.(9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ბ) ამოღებულია (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

გ) ხელშეკრულება ნებართვის მფლობელსა და იმ პირს შორის, რომელიც ამზადებს მომგებიანი თამაშობის (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით გამართული თამაშობებისა) ბილეთებს, დასამზადებელი ბილეთების რაოდენობის მითითებით; (4.05.2010 N 3045)

დ) მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობები (რეგლამენტი);

ე) მომგებიანი თამაშობის (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) ბილეთის ნიმუში. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

1<sup>1</sup>. ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელი ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურს

თანხმობის მისაღებად წარუდგენს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თამაშობის წესს. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

1<sup>2</sup>. ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელი ამ კანონის 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სალაროს მოწყობის შემთხვევაში მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობებში (რეგლამენტში) ცვლილების შეტანამდე შემოსავლების სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას სალაროს მოწყობისთვის განკუთვნილი უძრავი ქონების მისამართის (მისამართების) შესახებ. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

2. მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ორგანიზატორი ვალდებულია ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თამაშობის ზოგად წესში ცვლილების შეტანის შემთხვევაში თანხმობის მისაღებად, ხოლო სხვა ცვლილების შემთხვევაში – ცვლილების განხორციელებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ინფორმაციის სახით აცნობოს შემოსავლების სამსახურს აღნიშნულის თაობაზე. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

2<sup>1</sup>. მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ორგანიზატორი ვალდებულია სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესში ცვლილების შეტანის თაობაზე შეტყობინება განათავსოს თამაშობისთვის განკუთვნილ ვებგვერდზე (ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში) და ცვლილების შეტანიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ინფორმაციის სახით აცნობოს შემოსავლების სამსახურს. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

3. წამახალისებელი გათამაშების ერთი ეტაპის დასრულებამდე დაუშვებელია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობებში (რეგლამენტში) ცვლილების შეტანა, გარდა ბილეთების რაოდენობისა და ნუმერაციის ცვლილებისა. აღნიშნულის თაობაზე წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორმა ცვლილების განხორციელებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ინფორმაციის სახით უნდა აცნობოს შემოსავლების სამსახურს. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

4. დაუშვებელია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვით ორი ან ორზე მეტი ეტაპის ერთდროულად ჩატარება.

5. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი ვალდებულია გათამაშების ყოველი ახალი ეტაპის მოწყობისთვის თანხმობის მისაღებად შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები: (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ა) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები (რეგლამენტი);

ბ) წამახალისებელი გათამაშების (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) ბილეთის ნიმუში;

გ) ხელშეკრულება წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორსა და იმ პირს შორის, რომელიც ამზადებს წამახალისებელი გათამაშების (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) ბილეთებს, დასამზადებელი ბილეთების რაოდენობის მითითებით.

მუხლი 14 ამოღებულია (15.12.2009. N2332)

მუხლი 15

ლატარიის და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი, გათამაშებას ატარებს ბილეთების არასრულად რეალიზების შემთხვევაშიც.

მუხლი 16 (15.12.2009. N2332)

1. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობების (რეგლამენტის) საჯაროობა და მოთამაშებისათვის მათი დაუბრკოლებლად მიწოდება, აგრეთვე კომისიის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საპრიზო ფონდის გათამაშებას წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობების (რეგლამენტის) დაცვით და მათ შესაბამისად. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

2. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი ვალდებულია, გათამაშების მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაცია 2 დღის ვადაში წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს.

მუხლი 17 ამოღებულია (15.12.2009. N2332)

მუხლი 18 ამოღებულია (15.12.2009. N2332)

### თავი III

#### აზარტული თამაშობების მოწყობისა და ნებართვების გაცემის პირობები

მუხლი 19 (15.12.2009. N2332)

1. სამორინეს მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მამიებელმა, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ამოღებულია (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ბ) სამორინეს მოწყობის პირობები (რეგლამენტი), რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: სამორინეში არსებული სამორინეს მაგიდების ან/და კლუბის მაგიდების ჩამონათვალი, სახელწოდების, საქარხნო ნომრის, დამზადების წლის და დამამზადებელი ქვეყნის მითითებით; მინიმალური და მაქსიმალური ფსონები; სამორინეს მუშაობის წესები; სამორინეში მოქცევის წესები; სამორინეში მიმდინარე თამაშობების წესები; კლუბის მაგიდის არსებობის შემთხვევაში – მომსახურების პროცენტის ოდენობა; მოგების გაცემის ვადა და ადგილი; პრეტენზიის განხილვის ვადა; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

გ) სათამაშო ჟეტონის ნიმუშები.

დ) აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

დ.ა) ფაქტობრივი მისამართი, საიდანაც მოხდება მომგებიანი თამაშობების მართვა და ორგანიზება;

დ.ბ) თამაშობების ჩამონათვალი და აღწერილობები;

დ.გ) მოგების გაცემის ადგილი (ადგილები) და ზღვრული ვადა (თუ მოგება გაიცემა ამ კანონის 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე – სალაროს მოწყობისათვის განკუთვნილი უძრავი ქონების მისამართი (მისამართები)); პრეტენზიის განხილვის ვადა; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

დ.დ) ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში – ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი; დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი; ვებგვერდზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშის დეტალური წესები, ინფორმაცია 18 წლამდე პირთა თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ;

დ.ე) ტელეფონით მოწყობის შემთხვევაში – საქართველოში რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი.

2. სამორინეში აკრძალულია იმ თამაშობის გამართვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის სამორინეს მოწყობის პირობებით (რეგლამენტით), ხოლო აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესით. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

მუხლი 19<sup>1</sup> (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

1. აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს აზარტული კლუბის მოწყობის პირობები (რეგლამენტი), რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: აზარტულ კლუბში არსებული კლუბის მაგიდების ჩამონათვალი, სახელწოდების, საქარხნო ნომრის, დამზადების წლის და დამამზადებელი ქვეყნის მითითებით; კლუბის მაგიდაზე მომსახურების პროცენტის ოდენობა; აზარტული კლუბის მუშაობის წესები; აზარტულ კლუბში მოქცევის წესები; აზარტულ კლუბში მიმდინარე თამაშობების წესები; სათამაშო აქტონის ნიმუშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. აკრძალულია აზარტულ კლუბში იმ თამაშობის გამართვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის აზარტული კლუბის მოწყობის პირობებით (რეგლამენტით).

მუხლი 20 (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

1. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის პირობები (რეგლამენტი), რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

ა.ა) აზარტული თამაშობების ჩატარების ვადა და ადგილი;

ა.ბ) სათამაშო აპარატების ჩამონათვალი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა), სახელწოდების, მოდიფიკაციის, საქარხნო ნომრის, დამზადების წლის, დამამზადებელი ქვეყნის, თითოეულ აპარატზე მინიმალური და მაქსიმალური ფსონებისა და მოგების მაქსიმალური ოდენობის მითითებით;

ა.გ) სათამაშო აპარატების სალონში მიმდინარე თამაშობების ჩამონათვალი და თამაშის წესები;

ა.დ) პრეტენზიის განხილვის ვადა;

ბ) აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ბ.ა) ფაქტობრივი მისამართი, საიდანაც მოხდება მომგებიანი თამაშობების მართვა და ორგანიზება;

ბ.ბ) თამაშობების ჩამონათვალი და აღწერილობები;

ბ.გ) მოგების გაცემის ადგილი (ადგილები) და ზღვრული ვადა (თუ მოგება გაცივმა ამ კანონის 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე – სალაროს მოწყობისათვის განკუთვნილი უძრავი ქონების მისამართი (მისამართები)); პრეტენზიის განხილვის ვადა; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

ბ.დ) ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში – ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი; დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი; ვებგვერდზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშის დეტალური წესები, ინფორმაცია 18 წლამდე პირთა თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ;

ბ.ე) ტელეფონით მოწყობის შემთხვევაში – საქართველოში რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი.

2. სათამაშო აპარატების სალონში აკრძალულია იმ თამაშობის გამართვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის პირობებით (რეგლამენტით), ხოლო აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესით.

მუხლი 20<sup>1</sup> (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

1. სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურს თანხმობის მისაღებად წარუდგენს ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თამაშობის წესს.

2. სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი აზარტული ტურნირის გამართვის შემთხვევაში აზარტული ტურნირის მოწყობამდე 2 სამუშაო დღით ადრე, ინფორმაციის სახით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს აზარტული ტურნირის მოწყობისა და ჩატარების პირობებს, რომელშიც ასევე უთითებს აზარტული ტურნირის დაწყებისა და დასრულების თარიღებს, კლუბის მაგიდების რაოდენობას. 24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

2<sup>1</sup>. აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელი აზარტული ტურნირის გამართვის შემთხვევაში აზარტული ტურნირის მოწყობამდე 2 სამუშაო დღით ადრე,

ინფორმაციის სახით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს აზარტული ტურნირის მოწყობისა და ჩატარების პირობებს, რომელშიც ასევე უთითებს აზარტული ტურნირის დაწყებისა და დასრულების თარიღებს, კლუბის მაგიდების რაოდენობას. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

3. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელი აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურს თანხმობის მისაღებად წარუდგენს ამ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თამაშობის წესს.

4. სამორინეს მოწყობის ან/და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელი ამ კანონის 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სალაროს მოწყობის შემთხვევაში სამორინეს/სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის პირობებში (რეგლამენტში) ცვლილების შეტანამდე 2 სამუშაო დღით ადრე შემოსავლების სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას სალაროს მოწყობისთვის განკუთვნილი უძრავი ქონების მისამართის (მისამართების) შესახებ.

**მუხლი 21 (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)**

1. სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის ან აზარტული კლუბის ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში აზარტული თამაშობის ორგანიზატორმა შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს შესაბამისი თამაშობის მოწყობის პირობები (რეგლამენტი).

2. აზარტული თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია სამორინეში, სათამაშო აპარატების სალონსა და აზარტულ კლუბში მიმდინარე თამაშობების ჩამონათვალსა და თამაშის წესებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში თანხმობის მისაღებად, ხოლო სხვა ცვლილების შემთხვევაში – ცვლილების განხორციელებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ინფორმაციის სახით აცნობოს შემოსავლების სამსახურს.

3. აზარტული თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესში ცვლილების შეტანის შესახებ შეტყობინება განათავსოს თამაშობისათვის განკუთვნილ ვებგვერდზე (ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში) და ცვლილების შეტანიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ინფორმაციის სახით აცნობოს შემოსავლების სამსახურს.

**მუხლი 22 ამოღებულია (15.12.2009. N2332)**

**მუხლი 23**

სათამაშო აპარატებზე გათვალისწინებული უნდა იყოს დადებული ფსონის სულ ცოტა 80 პროცენტი მოგება.

**მუხლი 24 (15.12.2009. N2332)**

1. სამორინეში დამონტაჟებული უნდა იყოს და უნდა ფუნქციონირებდეს არანაკლებ შვიდი სამორინეს მაგიდისა, მათგან ერთი – სათამაშო ბორბალზე (რულეტზე) სათამაშოდ. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)



2. სამორინე უნდა შედგებოდეს კლიენტთა მომსახურების ზონისა და სამსახურებრივი სათავსების ზონისაგან. თითოეული ზონისთვის უნდა არსებობდეს ცალკე შესასვლელი.

3. კლიენტებთან ფულადი ანგარიშსწორების წარმოების სალარო აღჭურვილი უნდა იყოს ჯავშნიანი ფანჯრით, შესაბამის დაცვის სამსახურთან დამაკავშირებელი საგანგამო სიგნალით და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სამსახურებრივი სათავსების ზონაში უნდა შედიოდეს სეიფი.

#### **მუხლი 25 ამოღებულია (15.12.2009. N2332)**

#### **თავი IV**

ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორის უფლება-მოვალეობები (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

#### **მუხლი 26 ამოღებულია (9.12.2005. N2237)**

#### **მუხლი 27**

თამაშის წესები უნდა განთავსდეს იმ ადგილზე, სადაც თამაშობა ტარდება და მოთამაშეს პირველი მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინონ.

#### **მუხლი 28 (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)**

1. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისას უფლება აქვს, გამოიყენოს თავის სახელზე გაცემული სამორინეს, აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის ან/და ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვით ორგანიზებულ ობიექტებზე არსებული სალაროები.

2. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისას უფლება აქვს, სხვა პირებზე გაცემული სამორინეს, აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის ან/და ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვით ორგანიზებულ ობიექტებზე მოაწყოს სალაროები.

3. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისას უფლება აქვს, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში მოაწყოს ამ კანონის მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სალარო.

#### **მუხლი 29 (15.12.2009. N2332)**

1. ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს თამაშობების მოწყობის ადგილზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, მოთამაშეთა და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

ბ) აწარმოოს გაცემულ მოგებათა რეგისტრაცია, შექმნას ელექტრონული ბაზა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) ჩაატაროს თამაშობა და გასცეს მოგებები წარმოდგენილი მოწყობის პირობების (რეგლამენტის) შესაბამისად;

დ) მოთხოვნის შემთხვევაში მოთამაშეს მისცეს წერილობითი ცნობა მოგების მიღების შესახებ;

ე) მოთამაშეთა პრეტენზიებთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება მოწყობის პირობებით (რეგლამენტით) გათვალისწინებულ ვადებში;

ვ) საიდუმლოდ შეინახოს მონაცემები მოთამაშის მიერ მოგებულ ან წაგებულ თანხებზე და ინფორმაცია მათ შესახებ გასცეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ) დროულად გადაიხადოს თამაშობის მოწყობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლები და გადასახადები;

თ) არ დაუშვას დამატებითი პირობების მოთხოვნა მოგებულ მოთამაშეზე მოგების გაცემისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევების გარდა;

ი) შეასრულოს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით მისთვის დაკისრებული მოვალეობები;

კ) საქმიანობის შეწყვეტიდან/განახლებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს შემოსავლების სამსახურს საქმიანობის შეწყვეტის/განახლების თაობაზე;

ლ) ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობის გადაზიდვის ოპერაციები განახორციელოს სპეციალიზებული საინკასაციო სამსახურების საშუალებით, თუ მისი ყოველთვიური შემოსავალი აღემატება 10000 ლარს;

მ) სანებართვო პირობების შესრულების შემოწმებისას შემმოწმებელს შეუქმნას სამუშაო პირობები და მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ წარუდგინოს სანებართვო პირობებთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

ნ) სამორინე, აზარტული კლუბი, სათამაშო აპარატების სალონი, ტოტალიზატორისათვის, ლოტოსა და ბინგოსათვის სპეციალურად მოწყობილი შენობა-ნაგებობები უზრუნველყოს მუდმივი დენის წყაროთი, აღჭურვოს დარბაზში, სალაროსთან, შემოსასვლელში და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. დარბაზში, სალაროსთან და შემოსასვლელში ვიდეოჩაწერა უნდა მიმდინარეობდეს ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, სამორინეს, აზარტული კლუბისა და სათამაშო აპარატების სალონის მუშაობის მთელ პერიოდში, ხოლო გარე პერიმეტრზე – მუდმივად. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ელექტრონული მატარებლები, შესაბამისი ჩანაწერებით, არანაკლებ 30 დღისა უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაცულ ადგილზე და დასაბუთებული მოთხოვნისთანავე წარედგინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და სხვა უფლებამოსილ

ორგანოებს. სალარო უნდა აღიჭურვოს ჯავშნიანი ფანჯრით და შესაბამის დაცვის სამსახურთან დამაკავშირებელი საგანგაშო სიგნალით; (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

ო) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში უზრუნველყოს თითოეული მოთამაშის რეგისტრაცია პერსონალური საიდენტიფიკაციო მონაცემების მიხედვით; (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

პ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის დაცვა; (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ჟ) ჩაატაროს თამაშობა და გასცეს მოგებები წარმოდგენილი სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესის შესაბამისად; (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

რ) აზარტული ტურნირის ჩატარების შემთხვევაში უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, აგრეთვე მოთამაშეთა ინტერესების დაცვა. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

2. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს ეკრძალება მოთამაშეებზე სესხის გაცემა ფსონის დასადებად. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

3. ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორს ეკრძალება არასრულწლოვან პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება, რომლის მიხედვითაც მათ ევალებათ თამაშობის ჩატარების ადგილზე მუშაობა, თამაშობის ორგანიზების ან ჩატარების კონტროლი. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

მუხლი 30 (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

1. ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებული არ არის, შეამოწმოს სათამაშო ჟეტონის, ლატარიის ან/და მომგებიანი თამაშობების ბილეთის წარმომდგენის უფლებამოსილება, თუ ეს მოწყობის პირობებით (რეგლამენტით) არ არის განსაზღვრული.

2. თუ მოთამაშემ დაკარგა სათამაშო ჟეტონი, ლატარიის ან/და მომგებიანი თამაშობის ბილეთი, მას უფლება არა აქვს, პრეტენზია წარუდგინოს ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორს, თუ მოწყობის პირობებით (რეგლამენტით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. თამაშობების ორგანიზებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მიიღება მოწყობის პირობებით (რეგლამენტით) ან/და სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესით გათვალისწინებულ ვადებში.

მუხლი 31 (15.12.2009. N2332)

1. ლატარიის ორგანიზატორი ვალდებულია, ტირაჟის მოწყობის შესახებ 2 კვირით ადრე აცნობოს შემოსავლების სამსახურს და წარუდგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომდევნო ტირაჟის მოწყობისას ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები და მათში ასახული ინფორმაცია უცვლელი რჩება, შემდეგი დოკუმენტები:

ა) ტირაჟიანი ლატარიის, ლოტოს, ბინგოს მოწყობისათვის:

ა.ა) ტირაჟიანი ლატარიის, ლოტოს, ბინგოს მოწყობის პირობები (რეგლამენტი);

ა.ბ) ხელშეკრულება ლატარიის ორგანიზატორსა და იმ პირს შორის, რომელიც ამზადებს ტირაჟიანი ლატარიის, ლოტოს, ბინგოს ბილეთებს, დასამზადებელი ბილეთების რაოდენობის მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტირაჟიანი ლატარიის, ლოტოს, ბინგოს ბილეთებს ამზადებს ლატარიის ორგანიზატორი;

ა.გ) ტირაჟიანი ლატარიის, ლოტოს, ბინგოს ბილეთების ნიმუშები (ასეთების არსებობის შემთხვევაში);

ბ) მომენტალური ლატარიის მოწყობისათვის:

ბ.ა) მომენტალური ლატარიის მოწყობის პირობები (რეგლამენტი);

ბ.ბ) ხელშეკრულება ლატარიის ორგანიზატორსა და იმ პირს შორის, რომელიც ამზადებს მომენტალური ლატარიის ბილეთებს, დასამზადებელი ბილეთების რაოდენობის მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომენტალური ლატარიის ბილეთებს ამზადებს ლატარიის ორგანიზატორი;

ბ.გ) მომენტალური ლატარიის ბილეთის ნიმუშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. ლატარიის ორგანიზატორი ვალდებულია, სხვა ცვლილების (დირექტორის, იურიდიული მისამართის შეცვლის, ბილეთების დამატებითი რაოდენობის ბეჭდვის და სხვა) შესახებ, რომელიც არ იწვევს თამაშობის არსებით ცვლილებას, 3 დღით ადრე წერილობით აცნობოს შემოსავლების სამსახურს.

3. ლატარიის ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს თამაშის წესების საჯაროობა და მოთამაშეებისათვის მათი დაუბრკოლებლად მიწოდება, აგრეთვე კომისიის შექმნა (გარდა ტოტოს გათამაშებისა), რომელიც უზრუნველყოფს საპრიზო ფონდის გათამაშებას მოწყობის პირობების (რეგლამენტის) დაცვით და მათ შესაბამისად. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 მოწვეული, ლატარიის ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი წევრისგან. (28.10.2011. N5169)

4. ლატარიის ორგანიზატორი ვალდებულია გათამაშების მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაცია 5 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს. (28.10.2011. N5169)

მუხლი 31<sup>1</sup> (4.05.2010 N 3045)

1. ლატარიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და შესაბამისი სარეკომენდაციო გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში იქმნება ლატარიასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო (შემდგომ – საბჭო), რომლის შემადგენლობა და რეგლამენტი მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

2. საბჭოს რეგლამენტით განისაზღვრება საბჭოს მიერ საკითხის განხილვის პროცედურები, მათ შორის, საბჭოს სხდომების მოსამზადებლად ჩასატარებელი ღონისძიებები, საბჭოს წევრთა ჩანაცვლების, საბჭოს სხდომების მიმდინარეობის, კენჭისყრისა და სხვა საკითხები.

3. საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ საქართველოს ფინანსთა, იუსტიციის, ეკონომიკური განვითარების და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროების სისტემის თანამშრომლები, ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით – სხვა პირები.

მუხლი 32 (15.12.2009. N2332)

1. 21 წლამდე ასაკის პირისათვის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირისათვის – სათამაშო აპარატების სალონსა და მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილას შესვლა ან/და თამაშობაში (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ თამაშობაში) მონაწილეობა აკრძალულია. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით უზრუნველყოს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ადგილას შესული პირის ასაკის შემოწმება, თუ არსებობს გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ მისი ასაკი არ აკმაყოფილებს ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

2. აკრძალულია 18 წლამდე პირებზე ეროვნული ლატარიის ბილეთების გაყიდვა ან/და სხვაგვარი გავრცელება და მოგების გაცემა.

მუხლი 33 (24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

1. სამორინეს მაგიდები, კლუბის მაგიდები, სათამაშო აპარატები და სხვა სათამაშო ინვენტარი, რომლებიც გამოიყენება თამაშობისათვის, შეიძლება იყოს აზარტული თამაშობის ორგანიზატორის საკუთრებაში ან სარგებლობაში.

2. სამორინეს მაგიდების, კლუბის მაგიდებისა და სათამაშო აპარატების თამაშობისათვის გამოიყენება დასაშვებია მხოლოდ განმასხვავებელი აღნიშვნის (საქარხნო ნომრის) არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 34 (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საქმიანობის დაბეგვრა და საბუღალტრო აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 35 (17.12.2010. N4127)

1. დაუშვებელია ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა, აგრეთვე ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ბილეთების (გარდა წამახალისებელი გათამაშების ბილეთებისა) გაყიდვა/გავრცელება საბავშვო, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საკულტო ნაგებობებში, საბავშვო სანატორიუმებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობებში, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით აკრძალულ ადგილებში (ტერიტორიულ ზონებში, შენობა-ნაგებობებში).

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია განსაზღვროს ის ადგილები (ტერიტორიული ზონები, შენობა-ნაგებობები), სადაც შესაძლებელია აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა,

გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილებისა (ტერიტორიული ზონებისა, შენობა-ნაგებობებისა).

### მუხლი 36

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია კონტროლი დააწესოს ამ კანონისა და გათამაშების წესების (რეგლამენტის) ყველა პუნქტის მოთხოვნათა შესრულებაზე. (9.12.2005. N2237)

## თავი V

### პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

### მუხლი 37

1. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისთვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწყობ პირთა მიერ ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა არის სანებართვო პირობების დარღვევა და გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად. (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

3. ლატარიის ბილეთების ან მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების გაყალბება ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

### მუხლი 37<sup>1</sup> (9.12.2011. N5448 ამოქმედდეს 2012 წლის 3 იანვრიდან)

ნებართვის მფლობელის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის, ნებართვის სახეობების მიხედვით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა შეადგენს:

- ა) სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 7 000 ლარს;
- ბ) სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 20 000 ლარს;
- გ) ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 2 000 ლარს;
- დ) ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 10 000 ლარს;
- ე) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 1 000 ლარს;
- ვ) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 10 000 ლარს;
- ზ) ლოტოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 1 000 ლარს;
- თ) ლოტოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 2 000 ლარს;
- ი) ბინგოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 1 000 ლარს;

კ) ბინგოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 2 000 ლარს;

ლ) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 1000 ლარს;

მ) ლატარიების, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორის მიმართ, ამ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში – 1000 ლარს.

ნ) აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 2 000 ლარს;  
*(24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)*

ო) აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიმართ, მის მიერ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 10 000 ლარს.  
*(24.04.2012. N6052 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)*

### მუხლი 37<sup>2</sup> (15.12.2009. N2332)

1. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, კონტროლი დააწესოს ამ კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირის – ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მფლობელი პირის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებაზე. ამ მიზნით შესაძლებელია, ნებისმიერ დროს შემოწმდეს ამ კანონით, სხვა ნორმატიული აქტებითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობა. შემოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით.

2. არაუფლებამოსილი პირის მიერ ლატარიის ორგანიზება ან/და მოწყობა იწვევს მის დაჯარიმებას 50000 ლარით.

3. არაუფლებამოსილი პირის მიერ ლატარიის ყოველი მომდევნო ორგანიზება ან/და მოწყობა იწვევს მის დაჯარიმებას 150000 ლარით.

### მუხლი 37<sup>3</sup> (15.12.2009. N2332)

1. ამ კანონის 37<sup>2</sup> მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებებისათვის არაუფლებამოსილ პირს აჯარიმებს შემოსავლების სამსახური.

2. არაუფლებამოსილი პირის მიერ ლატარიის ორგანიზების ან/და მოწყობის გამოვლენისა და მისი დაჯარიმების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

## თავი VI

### გარდამავალი დებულებები

### მუხლი 38

1. ამოღებულია (24.03.2009. N1126)

2. ამ კანონის ამოქმედებამდე კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული ლიცენზიები (გარდა სამორინეებისა და ლატარიებისა) ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში ექვემდებარება ნებართვებად გაფორმებას, ხოლო სამორინეების მოწყობისათვის

გაცემული ლიცენზიები და ნებართვები ძალაშია 2006 წლის 1 იანვრამდე, რომლის შემდეგაც სამორინეს მოწყობისათვის ნებართვები გაიცემა ამ კანონისა და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად; ლატარიების ორგანიზებისათვის გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების მფლობელებს ლატარიის ჩატარების უფლება შეუნარჩუნდეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენის თაობაზე შეტყობინების გაგზავნიდან ორი თვის განმავლობაში.(24.03.2009. N1126)

3. ლიცენზიის მფლობელი (სამორინეებისა და ლატარიების გარდა) ვალდებულია ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოადგინოს განაცხადი ლიცენზიის ნებართვად გადაფორმების თაობაზე, ლიცენზია, აგრეთვე ამ კანონით დადგენილი დამატებითი დოკუმენტაცია და იმ დოკუმენტთა განახლებული ვარიანტი, რომელთაც გასული აქვთ მოქმედების ვადა.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განიხილავს დოკუმენტაციას ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ ვალდებულებასთან დაკავშირებით და ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით გასცემს ნებართვას (სამორინეებისა და ლატარიების გარდა). ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ სხვაობა ლიცენზიის აღების დროს გადახდილ მოსაკრებლის ოდენობასა და ამ საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობას შორის.

5. ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული ლიცენზიები ძალადაკარგულად ითვლება.

6. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული ნებართვების მოქმედების ვადა (სამორინეებისა და ლატარიების გარდა) განისაზღვრება ნებართვის გაცემიდან 1 წლის ვადით.

7. 2007 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორების ინფორმირება ამ კანონით დადგენილი დამატებითი სანებართვო პირობების შესახებ.

8. 2007 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრებზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის განსაზღვრა. (3.07.2007. N5180)

### მუხლი 39

ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებაზე ამ კანონის ძალაში შესვლამდე გაცემული ლიცენზიების, აგრეთვე ნებართვების მფლობელთა მიერ საქართველოს საკანონმდებლო ნორმების შესრულებაზე კონტროლს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 39<sup>1</sup> (4.05.2010 N 3045)



საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ამ კანონის 31<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საბჭოს შექმნა და მისი რეგლამენტის დამტკიცება უზრუნველყოს არა უგვიანეს 2010 წლის 1 ივნისისა.

მუხლი 39<sup>2</sup> (15.12.2010. N4063)

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ამ კანონის 11<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის დაბრუნების წესი განსაზღვროს არა უგვიანეს 2011 წლის 1 იანვრისა.

თავი VII  
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 40  
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,  
2005 წლის 25 მარტი.  
N 1180 - ის